



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №99  
2013 წლის 11 ივლისი  
ქალაქი ხაშური



„საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 13 ივლისის N13/07/04 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2012 წელში აუთვისებელი სახსრების ნაშთის გამოყენების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 14 იანვრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 13 ივლისის N13/07/04 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების თავისუფალი (აუთვისებელი) ნაშთი 7 652 ლარის ფარგლებში განსახორციელებელი ცალკეული ღონისძიებების მოცულობა და სამუშაოთა ნუსხა განისაზღვროს შემდეგი სახით:
  - ა) ქალაქ ხაშურში კოსტავას ქ. #32-ში (18) ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულება - 7 500 ლარი;
  - ბ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება - 152 ლარი;
2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

